


## ჰენდაუთი 10.3: გავლენის სქემის სავარჯიშო (ინსტრუქცია)

ეს სავარჯიშო დაგეხმარებათ თქვენს გარემოში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სტრატეგიის შემუშავებაში. სავარჯიშოს შესრულებისას განსაზღვრავთ დადებითი გავლენის მიზნებსა და ამოცანებს ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მასშტაბური მიდგომის გამოყენებით. სავარჯიშოს მეშვეობით შეძლებთ საზოგადოების სხვადასხვა სექტორისა და ნაწილის საჭიროებების ასახვას იმისათვის, რომ ისარგებლოთ მნიშვნელოვანი გავლენით. სავარჯიშო და მისი თანმხლები მასალა ვიზუალურად წარმოადგენს საბოლოო შედეგების მიერ სხვა საბოლოო შედეგებისა და სასურველი გავლენის მიღწევის მეთოდს, რაც კიდევ უფრო პრაქტიკულს გახდის ცვლილებების თეორიას. სავარჯიშო ადაპტირებულია ნაშრომიდან „Impact + Exercise: Workshop Guide“ (ერასმუს+, 2016 წ.).

ამ სავარჯიშოს შესასრულებლად თქვენ დაგჭირდებათ ხუთი ფურცელი 10.3 ჰენდაუთიდან (თქვენი გავლენა, პარტნიორი ორგანიზაციები, სისტემა, პროექტის პერსონალი და პროგრამის ბენეფიციარები) იმისათვის, რომ შექმნათ ქვემოთ მითითებული გავლენის სქემა:



### ეტაპი 1:

დაფიქრდით, რა გავლენის მოხდება გსურთ თქვენი საქმიანობის სფეროში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების გზით. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების პროგრამებისა და პოლიტიკის უმრავლესობისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს გრძელვადიანი გავლენა:

- ძალადობრივი ექსტრემიზმის მიმართ კიდევ უფრო მეტი (ინდივიდუალური და/ან საზოგადოების) მედეგობა;
- ძალადობრივი ექსტრემიზმისგან ჩამოშორების ან დერადიკალიზაციის გაზრდილი მაჩვენებლები; ან
- ძალადობრივი ექსტრემიზმის მხარდაჭერის ან შეტევების რაოდენობის შემცირება.

თუმცა მოკლევადიან გავლენაზე დაფიქრება შესაძლოა უფრო მიზანშეწონილი იყოს. არსებობს თუ არა რაიმე კონკრეტული პრობლემა, რომლის აღმოფხვრაც, სავარაუდოდ, გამოიწვევს გრძელვადიან გავლენას (მაგალითად, ზემოთ მითითებულ მაგალითებში)? დაწერეთ გავლენის განხორციელების მიზანი ფურცლის ცენტრში.

## ეტაპი 2:

შემდეგ თვალი გადაავლეთ 10.3 ჰენდაუთის ყოველ ფურცელზე დასმულ შეკითხვებს რიგი შედეგების (ცვლილებები ან ეფექტები) განსაზღვრის მიზნით, რომელთა დანახვასაც ისურვებდით ოთხ კატეგორიაში (პარტნიორი ორგანიზაციები, სისტემა, პროექტის პერსონალი და პროგრამის ბენეფიციარები). ეს ხელს შეუწყობს თქვენი გავლენის მიზნის განხორციელებას. შეგიძლიათ შედეგები წარმოადგინოთ მარჯვენა მხარის სახით. ჩამოწერეთ შედეგები წებოვან ქაღალდებზე (ე.წ. „სტიკერებზე“) და მიაკაროთ შესაბამის ფურცელს.

**საბოლოო შედეგები** - პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების ან გაწეული მომსახურების ნებისმიერი შედეგი (როგორც წესი, აღრიცხული ხარისხობრივი გამოხატულების სახით), რომლებიც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება ქცევის ან დამოკიდებულების ცვლილებით.